ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №228519

ნომერი: AR155891

თარიღი : 04.06.2012

გაცემის თარიღი : 22.06.2012

გაცნობის თარიღი : 26.06.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სტანისლავსკი , N 12 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- აბესალომ ბერბერაშვილი პ/ნ 01024010601
- თბილისი ბახტრიონის ქ. N 11 ბ. 89

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის24 მარტის№398 სამშენებლოდმიწისნაკვეთისგამოყენებისპირობებშიცვლილებისადადამატებისშეტანისთაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 04 ივნისს №AR155891 განცხადებით მომართა შპს "ემემჯი-2008"-ს (იდ 202447245) დირექტორმა აბესალომ ბერბერაშვილმა და მოითხოვა 2010 წლის 24 მარტის №398 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემების ცვლილებასთან დაკავშირებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2010 წლის 24 მარტს ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, რაფიელ

აგლაძის ქ. №47-ში საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1-ში (სსზ-1) საზოგადოებრივი დანიშნულების (დამხმარე) ობიექტის ასაშენებლად გაიცა №398 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა 10285 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით №01.13.05.003.036. სამსახურის 2011 წლის 09 სექტემბრის №3634 ბრძანებით 24.03.2010წ. №398 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში შევიდა ცვლილება, რომლითაც მიწის ნაკვეთის ფართად დაფიქსირდა 6170 კვ.მ. და მისამართად მიეთითა "სტანისლავსკის ქუჩა №12". სამსახურის 2011 წლის 20 დეკემბრის №5207 ბრძანებით კვლავ შევიდა ცვლილება ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტში, რომლითაც მიწის ნაკვეთის ფართობი დაფიქსირდა 4529 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: №01.13.05.003.059).
განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ კვლავ შეცვლილია საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი, საკადასტრო კოდი და კონფიგურაცია, რაც საჭიროებს შესაბამისი ცვლილების შეტანას სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში. საჯარო რეესტრის ახალი ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი დღეის მდგომარეობით შეადგენს 3555 კვ.მ-ს საკადასტრო კოდით №01.13.05.003.063 (ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის რეგისტრაციის №882012157290, მომზადების თარიღი 24.04.2012წ., საკადასტრო გეგმის მომზადების თარიღი 23.04.2012წ.). საპროექტო მიწის ნაკვეთის სამშენობლო განვითარების ფუნქციური ზონა და სხვა ქალაქთმშენებლობითი პირობები უცვლელი დარჩა.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, და ვინაიდან საპროექტო მიწის ნაკვეთზე დაწყებულია სამშენებლო სამუშაოები მაგრამ ობიექტი არ არის ექსპლუატაციაში მიღებული, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს ცვლილება და დამატება ზემოაღნიშნულ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 24 მარტის №398 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართად დაფიქსირდეს 3555 კვ.მ. და საკადასტრო კოდად მიეთითოს: №01.13.05.003.063;
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 24 მარტის №398 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს განცხადებლის მიერ წარმოდგენილი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა (ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის რეგისტრაციის №882012157290, მომზადების თარიღი 24.04.2012წ., საკადასტრო გეგმის მომზადების თარიღი 23.04.2012წ.).
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 24 მარტის №398 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.